საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შედეგები

შპს „კონსოლი"-ის ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2023 წლის მაისში შემოწმებულ იქნა ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო- გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოინჟ-კომპლექსი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2023 წლის თებერვალ-მარტში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი შპს „გეოინჟკომპლექსი"-ს მთავარი გეოლოგი ა.პასიკაშვილი და წამყვანი გეოლოგი მ. ყიფშიძე. საველე სამუშაოები ჩატარებულია განყოფილების წამყვანი ინჟინერ გეოლოგის მ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით. გრუნტის წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები და გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა შესრულდა განყოფილების გეოტექნიკურ ლაბორატო-რიაში დ. ახობაძის მიერ. დასკვნაში ასევე გამოყენებულია რაიონში და მის მიმდებარედ ჩატარებულია რიგი კვლევების მასალები, რომლებიც დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსი"-ს არქივში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ---------- 12 გვ;

2. ტექნიკური დავალება ---------- 1 გვ;
3. მიწერილობა ---------- 1 გვ;
4. უბნის ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით---------- 1 გვ;
5. გრუნტების კვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი ---------- 3 გვ;
6. კლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგები--------- 2 გვ;
7. გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის შედეგები ---------- 6 გვ;
8. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები ---------- 4 გვ;
9. ჭაბურღილების ლითოლოგიური სვეტები---------- 2 ფურც;
10. უბნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 5 ფურც.

ტექნიკური დავალების თანახმად, მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 19 სართულიანი საცხოვრებელი სახლის, დამატებული ორი ნოლსქვეშა სართულით მშენებლობა. საძირკვლების ტიპი და ჩაღრმავება დამოკიდებული იქნება ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქსიმალური დატვირთვები საძირკველზე – 7000-8000 კნ (700-800 ტძ) საყრდენზე.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირ №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091), რომლის საზღვრებია: ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – რკინის საამქროები, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან – გ. ნადარეიშვილის ქუჩა და მოხრეშილი გზა. გეომორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ძველი ჭალისზედა II ტერასის ნაწილს. მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში, მონაწილეობენ ზედა ეოცენის ძირითადი ქანები, წარმოდგენილი არგილითებით, თიხოვანი ქვიშაქვების შუაშრეებით და მათი მფარავი მეოთხეული გრუნტებით (ტექნოგენური, თიხოვანი, მსხვილნა-ტეხოვანი).

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად და ჰიდროგეო-ლოგიური პირობების შესაფასებლად, უბანზე გაიბურღა 5 ჭაბურღილი, (ჭაბ. №№1 5), სიღრმით №1 და №2 – 18,0 მ თითოეული, №3 – 17,0 მ, №4 და №5 – 16,0 მ თითოეული. სულ შესრულებული ბურღვითი სამუშაოს მთლიანი მოცულობა 85 გრძ. მეტრია. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული შესწავლის მიზნით, აღებულია თიხოვანი გრუნტებიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში, მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან – დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში, ძირითადი ქანებიდან (არგილითები და ქვიშაქვა) – დაურღვეველი სტრუქტურის 18 ნიმუში. ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანებიდან – 6 ნიმუში და დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში

– ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებიდან. ასევე აღებულია გრუნტის წყლის 3 სინჯი, რომლებზეც ჩატარებულია შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე, გეოლოგიურ ჭრილში, გამოყოფილი იქნა შემდეგი ფენები:

1. **ფენა 1 – ნაყარი გრუნტი** - tQ_{IV} - წარმოდგენილი ჰუმუსიანი თიხნარითა და სამშენებლო ნაგვის სუსტად შეკავშირებული ნარევით, ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 2,00–3,00 მ სიმძლავრეების ფარგლებში;
2. **ფენა 2 - სბე I** – დელუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტი (dQ_{IV}) – **თიხნარი**, ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 2,00–3,00 მ-დან 4,50–6,50 მ-მდე და წარმოდგენილია თაბაშირიანი, **ნახევრადმყარი კონსისტენციის** ყავისფერი თიხნარებით, მსხვილნატეხოვანი გრუნტის (კენჭნაროვანი) არაკანონზომიერი შუაშრეებითა და ლინზებით (0,05–0,20 სმ);

   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

   სიმკვრივე ρ=1.88 გ/სმ^3;

   ხვედრითი შეჭიდულობა C= 0.27კგძ/სმ^2;

   შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=23^0$;

   დეფორმაციის მოდული 190კგძ/სმ^2;

   პირობით საანგარიშო წინაღობა R_0=2.3კგძ/სმ^2;

   საგების კოეფიციენტი 2.5;

   პუასონის კოეფიციენტი 0.35;

   ფარდობითი ჯდომადობის სიდიდე 0.023
3. **ფენა 2/ - სბე II** – დელუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტი (dQ_{IV}) – **თიხნარი**, ტერიტორიაზე გავრცელებულია 4,50–5,40 მ-დან 4,80–6,30 მ-მდე №№1, 3 და 4 ჭაბურღილებში და წარმოდგენილია თაბაშირიანი, **რბილპლასტიკური კონსისტენციის** ყავისფერი თიხნარებით;

   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

   სიმკვრივე ρ=1.93 გ/სმ^3;

   ხვედრითი შეჭიდულობა C= 0.20კგძ/სმ^2;

   შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=18^0$;

   დეფორმაციის მოდული 110კგძ/სმ^2;

   პირობით საანგარიშო წინაღობა R_0=1.8კგძ/სმ^2;

საგების კოეფიციენტი 2.0;

პუასონის კოეფიციენტი 0.35;

4. **ფენა 3 – სბე III – მსხვილნატეხოვანი გრუნტი** – წარმოდგენილი სხვადასხვა ფრაქციის კენჭნარებით, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე, ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 4,80–6,50 მ-დან 9,10–9,90 მ-მდე;

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე ρ=1.95 გ/სმ^3;

ხვედრითი შეჭიდულობა C= 0.03კგძ/სმ^2;

შინაგანი ხახუნის კუთხე $\varphi=38^0$;

დეფორმაციის მოდული 500კგძ/სმ^2;

პირობით საანგარიშო წინაღობა R_0=5.0კგძ/სმ^2;

საგების კოეფიციენტი 8.0;

პუასონის კოეფიციენტი 0.27;

5. ფენა 4 – სბე IV – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი წარმოდგენილია ძირითადად არგილითებით (70%) ქვიშაქვების შუაშრეებით და ვრცელდება 9,10–9,90 მ-ის სიღრმიდან კვლევის სღრმემდე. ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან 12,70–14,00 მ სიღრმემდე, ძლიერ გამოფიტულია – დაშლილი და ალაგ-ალაგ გათიხებულია, თუმცა ალაგ-ალაგ, ქვიშაქვის გავრცელების ადგილებში, შედარებით ნაკლებადაა გამოფიტული.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე ρ=2.10 გ/სმ^3;

დეფორმაციის მოდული 40მპა;

პირობით საანგარიშო წინაღობა R_0=3.5კგძ/სმ^2;

საგების კოეფიციენტი 10;

პუასონის კოეფიციენტი 0.27;

6. ფენა 5 – სბე V – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი, გავრცელებულია ეროზიული ზედაპირიდან 12,70–14,00 მ-ის ქვემოთ, ძირითადი ქანები შედარებით საღია, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით, ნაპრალები ძირითადად ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია:

სიმკვრივე ρ=2.23 გ/სმ^3;

სიმტკიცის ზღვრის ნორმატიული მნიშვნელობა ერთღერძა კუმშვაზე წყალნაჯერ მდგომარეობაში Rc,n = 7700კპა (77კგძ/სმ^2)

საგების კოეფიციენტი 80;

პუასონის კოეფიციენტი 0.25;

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური, კლიმატური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ზემოაღნიშნული გრუნტების საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება, მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 4,80–6,50 მ სიღრმის ფარგლებში. გაბურღვის შემდეგ წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა 4,60–6,20 მ-ის ფარგლებში. გენეტიკურად მიწისქვეშა წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრატს. წყალი ხასიათდება სხვადასხვა ხარისხის აგრესიულობით რკინა-ბეტონის ნაკეთობათა მიმართ.

ზოგადი სეისმური დარაიონების რუკის მიხედვით თბილისი განეკუთვნება 8 ბალიან ზონას, ტერიტორიის საანგარიშო ბალიანობის საკითხი, გადაწყდეს გრუნტული პირობების მიხედვით, გეომორფოლოგიურ ფაქტორთან დამოკიდებუ- ლებაში. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.17.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა), არ არის განვითარებული და არც მომავალშია მოსალოდნელი. თუმცა გრუნტების სულფატური დამარილიანება და გრუნტის წყლების სულფატური აგრესიულობა არახელსაყრელი ფაქტორია. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული). ჩატარებული სამუშაოების შედეგად ავტორი იძლევა რეკომენდაციას: მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზების დასკვნაში რეკომენდებული ცემენტებით დამზადებული ბეტონები (სულფატომედეგი). ქვაბულის დამუშავებისას საჭირო იქნება წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. საორიენტაციოდ წყლის მოდენი ქვაბულის თითოეული მ^2-დან ან სადრენაჟო თხრილის გრძივი მეტრიდან მიღებული იქნეს 0,02 ლ/წმ. ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან

და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან (სართულიანობა 19, ნოლსქვეშა ორი სართული) გამომდინარე, შენობების დაფუძნებისთვის ოპტიმალური ვარიანტია, მისი დაფუძნება განხორციელდეს V სგე-ს (ფენა 5) გრუნტზე ბურღვით-ნატენი დგარი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა.

დასკვნა

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) 19 სართულიანი საცხოვრებელი სახლის, დამატებული ორი ნოლსქვეშა სართულით მშენებლო-ბისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი, პროფესორი: /ია მშვიდობაძე/



CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iabugo@mail.ru
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 წლიდან შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	**გამოქვეყნებული მაქვს 25 სამეცნიერო შრომა, მეთოდური მითითება და სახელმძღვანელოები:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს** : "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა.**საექსპერტო შეფასება ანგარიშზე:** "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020.**საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2022 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის სადგურების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბო სადგურების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი. ალებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით".**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

შპს "რეალექსპერტი"
მის: თბილისი, ათონელის ქ. N23
ტელ: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
ელ ფოსტა: realekspert2015@gmail.com



LTD "REALEXPERT"
ATONELI str.23,TBILISI, GEORGIA
TEL: +995 322 99 55 56
+995 599 55 16 23
Email: realekspert2015@gmail.com

ქ.თბილისი

09/06/2022 წელი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა ია მშვიდობაძეს პ/ნ 01024023058 მასზედ, რომ იგი, 2019 წლის აპრილიდან ნამდვილად მუშაობს შპს ,,რეალექსპერტი"-ში (ს/კ 404470434), საინჟინრო გეოლოგიური სფეროს, ინსპექტორის თანამდებობაზე.

ცნობა ეძლევა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

შპს ,,რეალექსპერტის"

ინსპექტირების ორგანოს დირექტორი: /კახაბერ ვარძიელი/



მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board (Protocol № 3 of 28.05.2003) 04 06 №5

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан

в том, что он в 19 79 году поступил в

и в 19 84 году окончил по курсу

по специальности

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г.

присвоена квалификация инженера

Председатель Государственной экзаменационной комиссии


Ректор

М. П. Город 19 84 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Госзнака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<

დაკვეთა №14/2023

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

დირექტორი ზ. კვაჭანტირაძე

თბილისი 2023 წ.

შპს „გეოინჟკომპლექსი"
ჟიული შარტავას ქ. №43დ
თბილისი, 0160, საქართველო

"GEOENGCOMPLEX" LTD
43d Zhiuli Shartava Str., 0160
Tbilisi, Georgia

Tel. (995 32) 37 62 55 E-mail: geo.logi@yahoo.com

ს ა რ ჩ ე ვ ი

№№	მასალების დასახელება	გვერდების და ნახაზების №
	I ტექსტური ნაწილი	
1	ტექნიკური დავალება	1
2	პროგრამა	2
3	საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა	3 – 14
	II ტექსტური ნაწილის დანართი	
4	გრუნტების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	15 – 17
5	ლდოვანი ქანების ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების კრებსითი ცხრილი	18 – 19
6	გრუნტის კომპრესიაზე გამოცდის გრაფილები	20 – 25
7	გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები და დასკვნა	26 – 29
	III გრაფიკული მასალა	
8	უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში, ჭაბურღილების და ჭრილის ხაზების დატანით	ფ. №1
9	ჭაბურღილების გეოლოგიური ჭრილები	ფ. №2 – 3
10	უბნის გეოლოგიური ჭრილები	ფ. №№4 – 8

ტექნიკური დავალება

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

ობიექტის დასახელება – მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

დამკვეთი – შპს „კონსოლი”-ს დირექტორი დავით ლექვთაძე.

ობიექტის მდებარეობა – ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი 9ა (01.17.12.003.091).

დაპროექტების სტადია – სამუშაო დოკუმენტაცია.

შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – მეორე.

მშენებლობის ტიპი – ახალი მშენებლობა.

დასაპროექტებელია 19 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, დამატებული ორი ნოლსქვეშა სართულით.

პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული დადგინდება მოგვიანებით.

საძირკვლების ტიპი და ჩაღრმავება დამოკიდებული იქნება ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე.

მაქსიმალური დატვირთვები საძირკველზე – 7000-8000 კნ (700-800 ტძ) საყრდენზე.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნეს აკინძული: 2 ეგზემპლარად და ელვერსიაში.

დანართი: უბნის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

დავალება გასცა დ. ლექვთაძე

პროგრამა

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩასატარებლად

წინამდებარე პროგრამა შედგენილია სნ და წ 1.02.07-87 (საინჟინრო კვლევები მშენებლობებისთვის) პ.პ. 1.19, 1,21, აგრეთვე პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები) და სნ და წ 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები) მოთხოვნათა საფუძველზე.

ჩასატარებელი კვლევის მიზანი:

ა) საკვლევი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;

ბ) დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების პირობების გარკვევა.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში.

დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური დახასიათება მოცემულია ტექნიკურ დავალებაში (ერთვის დასკვნას).

გეომორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ძველი ჭალისზედა II ტერასის ნაწილს.

ტერიტორიის საზღვრებია:

ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – რკინის საამქროები.

სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან – გ. ნადარეიშვილის ქუჩა და მოხრეშილი გზა.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

დასახული ამოცანის გადასაწყვეტად, მშენებლობისთვის გამოყოფილ უბანზე, გაიბურღოს 5 ჭაბურღილი (სავარაუდო სიღრმით 18,0 მ).

ბურღვა ჩატარდეს თვითმავალი საბურღი დაზგით „უგბ-1ვს“, მექანიკურ-სვეტური მეთოდით (d=160 მმ-მდე), მშრალი წესით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

უბანზე გავრცელებული გრუნტებიდან, ლაბორატორიული კვლევისთვის, აღებულ იქნეს გრუნტების დაურღვეველი და დარღვეული სტრუქტურის ნიმუშები, სნ და წ 1.02.07-87-ის პ.3.75-ში რეგლამენტირებული რაოდენობით.

მიწისქვეშა წყლის (გრუნტის, ნაპრალოვანი) გამოვლინების შემთხვევაში, აღებული იქნეს მისი სინჯები ლაბორატორიული ანალიზებისთვის (არანაკლები 3-სა).

ჩატარებული კვლევების საფუძველზე, შედგეს საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ტექნიკური ანგარიში (დასკვნა), სნ და წ 1.02.07-87-ის მე-9 დანართის რეკომენდაციების შესაბამისად და აიკინძოს 2 ეგზემპლარად. შესრულდეს კვლევის მასალის ელექტრონული ვერსია.

შპს „გეოინჟკომპლექსის“
მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი

ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირზე №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

თავი I შესავალი

შპს „კონსოლი”-ის დირექტორის – დავით ლექვთაძის დაკვეთით (დაკვ.№14/2023), შპს „გეოინჟკომპლექსის“ მიერ 2023 წლის თებერვალ-მარტში, მოცემულ ობიექტზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ჩატარდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა:

– სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების შესწავლა;

– დასაპროექტებელი შენობის დაფუძნების საკითხის გადაწყვეტა.

სამშენებლო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მრავალსართულიანი (19 სართული) საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, დამატებული ორი ნოლსქვეშა სართულით.

უშუალოდ მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, წინა წლებში ჩატარებული კვლევის შესახებ ცნობილი არ არის. ხოლო რაიონში და მის მიმდებარედ ჩატარებულია რიგი კვლევებისა, რომელთა მასალები დაცულია შპს „გეოინჟკომპლექსი”-ს არქივში და გამოყენებულია დასკვნის შედგენისას.

ზემოაღნიშნული მიზნების გადასაწყვეტად, სამშენებლო ტერიტორიაზე გაიბურღა 5 ჭაბურღილი (ჭაბ. №№1÷5), სიღრმით №1 და №2 – 18,0 მ თითოეული, №3 – 17,0 მ, №4 და №5 – 16,0 მ თითოეული. სულ შესრულებული ბურღვითი სამუშაოს მთლიანი მოცულობა 85 გრძ. მეტრია. ბურღვა ჩატარდა თვითმავალი საბურღი დანადგარით „უგბ 1-ვს", მექანიკური სვეტური მეთოდით, დიამეტრით 160 მმ-მდე, მშრალი წესით, შემოკლებული რეისებით, კერნის უწყვეტი ამოღებით.

ტერიტორიის ამგები გრუნტების ლაბორატორიული შესწავლისთვის აღებულია:

– თიხოვანი გრუნტებიდან – დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში, აქედან: 10 ნიმუში ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხოვანი გრუნტიდან (ფენა 2) და 2 ნიმუში – რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხოვანი გრუნტიდან (ფენა $2^{|}$);

– მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან (ფენა 3) – აღებულია დარღვეული სტრუქტურის 6 ნიმუში, სიღრმის მოცემული ინტერვალებისთვის კერნის მთლიანი გამოსავლის მიხედვით;

– ძირითადი ქანებიდან (არგილითები და ქვიშაქვა) – აღებულია დაურღვეველი სტრუქტურის 18 ნიმუში. ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანებიდან (ფენა 4) – 6 ნიმუში და დაურღვეველი სტრუქტურის 12 ნიმუში – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებიდან (ფენა 5). ნიმუშების აღების კონკრეტული სიღრმეები (ინტერვალები) მოცემულია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიურ სვეტებზე.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზებისთვის და რკინაბეტონის კონსტრუქციების მიმართ აგრესიული თვისებების დასადგენად, აღებულია 3 სინჯი.

ძირითადი ქანების, თიხოვანი და მსხვილნატეხოვანი გრუნტების ლაბორატორიული კვლევები და წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები ჩატარდა შპს „გეოინჟკომპლექსის" გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

ტოპოსაფუძვლად გამოყენებულია ტერიტორიის ტოპოგეგმა 1:500 მასშტაბში.

საველე სამუშაოები ჩატარდა წამყვანი ინჟინერ გეოლოგ მ. ყიფშიძის ხელმძღვანელობით.

თავი II- ტერიტორიის ზოგადი დახასიათება (მდებარეობა, საზღვრები, კლიმატური პირობები, გეომორფოლოგია, ზოგადი გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგია)

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მოსკოვის გამზირ №9ა-ში (ს/კ 01.17.12.003.091), რომლის საზღვრებია:

– ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან – რკინის საამქროები.

– სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან – გ. ნადარეიშვილის ქუჩა და მოხრეშილი გზა.

ქ. თბილისის მოცემული რაიონისთვის ძირითადი კლიმატური მონაცემები ვარკეთილის მეტეოსადგურის (59) მიხედვით შემდეგია (პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია"):

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ – W_o=0,85 კპა;

ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 20 წელიწადში ერთხელ – 37 მ/წმ;

ქარის გაბატონებული მიმართულება – ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის;

წლის საშუალო ტემპერატურა – +11,5°C;

აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა – -24°C;

აბსოლუტური მაქსიმუმი – +40°C;

ნალექების რაოდენობა წელიწადში – 550 მმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე – 23 სმ თიხოვანი გრუნტისთვის, მსხვილნატეხოვანი გრუნტისთვის – 34 სმ.

გეომორფოლოგიურად უბანი წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ძველი ჭალისზედა II ტერასის ნაწილს.

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში, მონაწილეობენ ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანები, წარმოდგენილი არგილითებით, თიხოვანი ქვიშაქვების შუაშრეებით და მათი მფარავი მეოთხეული გრუნტები (ტექნოგენური, თიხოვანი, მსხვილნატეხოვანი).

ზედა ეოცენის (P_2^3) ძირითადი ქანების სიმძლავრე გეოლოგიური საფონდო მონაცემებით, ქალაქის ფარგლებში და მის შემოგარენში, აღემატება 1000 მ-ს.

საკვლევი ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების არსებობით, რომელთა გავრცელება ვლინდება მეოთხეულ ნალექებში. მიწისქვეშა წყლები იკვებება ატმოსფერული წყლების და ნაპრალოვანი წყლების ხარჯზე.

შემადგენელი ქიმიური კომპონენტების მიხედვით მიწისქვეშა წყლები სუსტად მინერალიზებულია და უპირატესად ხასიათდებიან სხვადასხვა ხარისხის სულფატური აგრესიულობით.

თავი III ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები

III-1 გეოლოგიური აგებულება

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მონაცემების მიხედვით, შედგენილია ჭაბურღილების გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტები და ტერიტორიის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილები.

ჩატარებული ბურღვითი სამუშაოების მიხედვით, სამშენებლო მოედანზე, გენეზისის მიხედვით, გამოიყო გრუნტების 3 ტიპი (6 ფენა) – ფენები 1, 2, 2^1, 3, 4 და 5:

– საკვლევ ტერიტორიაზე მიწის ზედაპირიდან გავრცელებულია ნაყარი გრუნტი (tQ_{IV}) წარმოდგენილი ჰუმუსიანი თიხნარითა და სამშენებლო ნაგვის

სუსტად შეკავშირებული ნარევით, ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 2,00–3,00 მ სიმძლავრეების ფარგლებში (ფენა 1).

– დელუვიური თიხოვანი გრუნტი (თიხნარი, dQ_{IV}, ფენა 2) – ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 2,00–3,00 მ-დან 4,50–6,50 მ-მდე და წარმოდგენილია თაბაშირიანი, ნახევრადმყარი კონსისტენციის ყავისფერი თიხნარებით, მსხვილნატეხოვანი გრუნტის (კენჭნაროვანი) არაკანონზომიერი შუაშრეებითა და ლინზებით (0,05–0,20 სმ);

– დელუვიური თიხოვანი გრუნტი (თიხნარი, dQ_{IV}, ფენა 2^{I}) – ტერიტორიაზე გავრცელებულია 4,50–5,40 მ-დან 4,80–6,30 მ-მდე №№1, 3 და 4 ჭაბურღილებში და წარმოდგენილია თაბაშირიანი, რბილპლასტიკური კონსისტენციის ყავისფერი თიხნარებით;

– ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი (კენჭნაროვანი) გრუნტი, წარმოდგენილი სხვადასხვა ფრაქციის კენჭნარებით, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე (αQ_{IV}, ფენა 3), ტერიტორიაზე გავრცელებულია ყველა ჭაბურღილში 4,80–6,50 მ-დან 9,10–9,90 მ-მდე;

– ზედა ეოცენის ძირითადი ქანები (P_2^3) – წარმოდგენილია ძირითადად არგილითებით (70%) ქვიშაქვების შუაშრეებით და ვრცელდება 9,10–9,90 მ-ის სიღრმიდან კვლევის სიღრმემდე.

ძირითადი ქანები, ეროზიული ზედაპირიდან 12,70–14,00 მ სიღრმემდე, ძლიერ გამოფიტულია – დაშლილი და ალაგ-ალაგ გათიხებულია (ელუვირებული ზონა, ფენა 4), თუმცა ალაგ-ალაგ, ქვიშაქვის გავრცელების ადგილებში, შედარებით ნაკლებადაა გამოფიტული.

ეროზიული ზედაპირიდან 12,70–14,00 მ-ის ქვემოთ, ძირითადი ქანები შედარებით საღია, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით (ფენა 5), ნაპრალები ძირითადად ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე და ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული. აღნიშნულ ზონაში აღინიშნება შედარებით მტკიცე და შესუსტებული ზონები, გავრცელებული შესაბამისად, ქვიშაქვების და არგილითების სიჭარბის ადგილებში (ქვიშაქვები უფრო მედეგია გამოფიტვის აგენტებზე, ვიდრე არგილითები).

ძირითადი ქანის ეს ზონა შეიძლება დახასიათდეს როგორც სუსტად გამოფიტული.

ძირითად ქანებში არგილითები გავრცელებულია თხელი შრეების (1–3 სმ) სახით, ხოლო ქვიშაქვები საშუალო და სქელშრეებრივია (10–40 სმ).

III-2 ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობები

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების განხილვისას, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში, მიწის ზედაპირიდან 4,80–6,50 მ სიღრმის ფარგლებში.

გაბურღვის შემდეგ წყლის დონემ ამოიწია და დამყარდა 4,60–6,20 მ-ის ფარგლებში.

გენეტიკურად მიწისქვეშა წყალი წარმოადგენს ატმოსფერული ნალექების ინფილტრატს.

მიწისქვეშა წყლის დონის ცვალებადობაზე მრავალწლიანი რეჟიმული დაკვირვებები არ არსებობს. საორიენტაციოდ, აწევის მაქსიმალურ საპროგნოზო დონედ შეიძლება მიღებულ იქნეს +0,5 მ, კვლევის დროს დაფიქსირებულ დამყარების დონესთან შედარებით.

თავი IV- ბრუნტების და ბრუნტის წყლის ლაბორატორიული შესწავლის შედეგები

IV-1. ბრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

როგორც დასკვნის შესავალში აღინიშნა, ჭაბურღილებიდან აღებული იყო დარღვეული და დაურღვეველი სტრუქტურის 36 ნიმუში, აქედან:

– 10 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტიდან;

– 2 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა $2^{|}$-ის თიხოვანი გრუნტიდან;

– 6 დარღვეული სტრუქტურის ნიმუში – ფენა 3-ის მსხვილნატეხოვანი გრუნტიდან;

– 6 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 4-ის ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანიდან (გათიხებული არგილითებიდან);

– 12 დაურღვეველი სტრუქტურის ნიმუში – ფენა 5-ის ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანიდან.

თიხოვანი გრუნტებისთვის (ფენები 2 და $2^{|}$) განისაზღვრა ფიზიკური პარამეტრების სრული კომპლექსი. მსხვილნატეხოვანი გრუნტისთვის (ფენა 3)

განისაზღვრა გრანულომეტრიული შემადგენლობა და დადგინდა შემავსებლის სახეობა. ასევე ფენა 2-ის გრუნტებზე, ჩატარებულია 6 კომპრესიული გამოცდა.

ფენა 4-ის ძირითად ქანზე განისაზღვრა სიმკვრივეები, ხოლო ფენა 5-ის ძირითად ქანზე განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე და სიმკვრივეები, ბუნებრივ მდგომარეობაში, რაც შეესაბამება წყალგაჯერებულს.

გარდა აღნიშნული კვლევებისა, ფენები 2, 3 და 4-ის გრუნტზე განისაზღვრა დამარილიანების ხარისხი.

ლაბორატორიული კვლევის შედეგები ერთვის დასკვნას კრებსითი ცხრილის და კომპრესიული გამოცდების გრაფიკების სახით.

ქვემოთ, ცხრ. 1-ში მოცემულია თიხოვანი გრუნტების (ფენები 2 და 2^{I}) ძრითადი ფიზიკური მახასიათებლების ცვალებადობის დიაპაზონი და მათი შესაბამისი საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობები:

ცხრილი 1

№	ფიზიკური მახასიათებლები			განზ.	მიღებულ სიდიდეთა დიაპაზონი		საშუალო (ნორმატიული) მნიშვნელობა	
					ფენა 2	ფენა 2^{I}	ფენა 2	ფენა 2^{I}
1	პლასტიკურობის რიცხვი		I_p	–	0,10–0,16	0,11–0,15	0,13	0,13
2	ტენიანობა		W	%	16,9–21,2	25,4–27,7	19,2	26,6
3	სიმკვრივე	გრუნტის	ρ	გ/სმ³	1,85–1,92	1,90–1,95	1,88	1,93
		მშრალიგრუნტის	ρ_d		1,53–1,63	1,52–1,53	1,58	1,52
		გრუნტის ნაწილაკების	ρ_s		2,70–2,71	2,70–2,71	2,70	2,71
4	ფორიანობა		n	%	39,5–43,4	43,4–44,1	41,6	43,8
5	ფორიანობის კოეფიციენტი		e	–	0,653–0,766	0,768–0,789	0,712	0,778
6	დენადობის მაჩვენებელი		I_L	–	0,02–0,22	0,58–0,65	0,13	0,61
7	ტენიანობის ხარისხი		Sr	–	0,68–0,79	0,87–0,97	0,73	0,92

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოკვლეული გრუნტები მიეკუთვნებიან:

ფენა 2 – არასრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,73<0,80), ნახევრადმყარი კონსისტენციის ($\overline{I_L}$ =0,13) თიხნარს ($\overline{I_p}$=0,13).

ფენა 2^{I} – სრულად წყალგაჯერებულ ($\overline{S_r}$ =0,92>0,80), რბილპლასტიკური კონსისტენციის ($\overline{I_L}$ =0,61) თიხნარს ($\overline{I_p}$=0,13).

ცხრილში მოცემული საშუალო (ნორმატიული) სიდიდეები, საჭიროებისას, გამოიყენება საანგარიშოდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა კომპრესიული გამოცდები ჩატარდა ფენა 2-ის თიხოვანი გრუნტებისთვის (6 გამოცდა).

კომპრესიული გამოცდები ჩატარდა ბუნებრივი სიმკვრივის და ტენიანობის მდგომარეობაში (გრუნტი ბუნებრივად წყალგაჯერებულია), P=0,5 კგძ/სმ^2 დატვირთვის საფეხურებით, დატვირთვის P=4,0 კგძ/სმ^2-მდე აყვანით.

P=2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას, გრუნტს მიეწოდა წყალი ჯდომადი თვისებების დასადგენად. წყლის მიწოდებაზე გრუნტი რეაგირებს და ამჟღავნებს ჯდომად თვისებებს. ფარდობითი ჯდომადობის სიდიდე ε_{se}=0,011–0,44, $\bar{\varepsilon}_{se}$=0,023. ჯდომადობის საწყისი წნევა p_{se}=0,030–0,160 მპა, $\bar{p}_{se}$ =0,090 მპა.

ქვემოთ, ცხრილ 2-ში, მოცემულია ფენა 2-ის ჯდენის მოდულის მნიშვნელობები P=2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას დასველებამდე და დასველების შემდეგ, ასევე დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები P=1,0–2,0 დატვირთვების საწყის ინტერვალში დასველებამდე და დასველების შემდეგ დატვირთვის შემდეგი საფეხურის მიხედვით.

ცხრილი 2

№	ბამონამ. №	ალების სიღრმე, h	ბრაწ. №	ჯდენის მოდული ℓ_p მმ/მ P=2,0 კგძ/სმ^2 დატვირთვისას		დეფორმაციის მოდული E მპა (კგძ/სმ^2) P=1,0–2,0 დატვირთვების საწყის ინტერვალში	
				დასველე-ბამდე	დასველების შემდეგ	დასველე-ბამდე	დასველების შემდეგ
1	ჭაბ.№1	4,5	1	30	74	11,5 (115)	8,0 (80)
2	ჭაბ.№2	5,0	2	38	49	12,0 (120)	8,0 (80)
3	ჭაბ.№3	4,5	3	26	45	11,0 (110)	8,0 (80)
4	ჭაბ.№4	4,0	4	30	51	10,0 (100)	7,5 (75)
5	ჭაბ.№5	4,0	5	35	60	11,5 (115)	8,0 (80)
6	ჭაბ.№5	5,5	6	33	53	11,0 (110)	9,0 (90)
საშუალო მნიშვნელობა				32	55	11,2 (112)	8,1 (81)

როგორც ცხრილიდან ჩანს, დასველებისას გრუნტის ჯდენის მოდული და დეფორმაციის მოდულის მნიშვნელობები მკვეთრად უარესდებიან.

ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობა დასველებამდე ტოლია $\bar{\ell}_p$=32 მმ/მ, დასველების შემდეგ $\bar{\ell}_p$=55 მმ/მ. დეფორმაციის მოდულის საშუალო მნიშვნელობა დასველებამდე ტოლია $\bar{E}$=11,2 მპა (112 კგძ/სმ^2), დასველების შემდეგ $\bar{E}$=8,1 მპა (81 კგძ/სმ^2).

დეფორმაციის მოდულების და ჯდენის მოდულის საშუალო მნიშვნელობები, საჭიროებისას გამოიყენება საანგარიშოდ.

როგორც მსხვილნატეხოვანი გრუნტის (ფენა 3) გრანულომეტრიული ანალიზის შედეგებიდან ჩანს გრუნტი წარმოადგენს ქვიშის 24,6–28,8%-მდე შემავსებლიან კენჭნაროვან გრუნტს.

ფენა 4-ის ძლიერ გამოფიტული ქანებისთვის განისაზღვრა სიმკვრივე, რომლის საშუალო მნიშვნელობა $\overline{\rho}$=2,10 გ/სმ^3.

ფენა 5-ის ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანებისთვის „Controls“-ის ფირმის ხელსაწყოზე განისაზღვრა სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში და სიმკვრივე. ცდების შედეგები მოცემულია ქვემოთ, ცხრილ 3-ში.

ცხრილი 3

№	გრუნტის დასახელება	ჭაბ. №	ნიმუშის აღების სიღრმე	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C მპა
1	არგილითი	1	15,0	2,13	4,7
2		2	14,0	2,17	4,9
3		3	14,5	2,12	4,6
4		4	14,5	2,11	4,4
5		4	15,5	2,13	5,1
6		5	15,5	2,15	4,9
საშუალო სიდიდეები				2,14	4,7
7	ქვიშაქვა	1	17,0	2,33	15,3
8		2	16,0	2,31	14,8
9		2	17,5	2,37	15,6
10		3	16,0	2,32	14,6
11		4	13,5	2,31	13,7
12		5	13,5	2,33	14,0
საშუალო სიდიდეები				2,33	14,7

ცხრილში მოცემული მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08 საკლასიფიკაციო ცხრ. 1-ის თანახმად, გრუნტები განისაზღვრა:

– არგილითი (ფენა 5) – ნახევრადკლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში $\overline{R}_c$=4,7 მპა (47 კგძ/სმ^2); $\overline{\rho}$=2,14 გ/სმ^3.

– ქვიშაქვა (ფენა 5) – საშუალო სიმტკიცის კლდოვანი გრუნტი, სიმტკიცის ზღვრით $\overline{R}_c$=14,7 მპა (147 კგძ/სმ^2); $\overline{\rho}$=2,33 გ/სმ^3.

ვინაიდან ფენა 5-ის ძირითადი ქანის მასივი წარმოდგენილია არგილითების უპირატესი გავრცელებით (70%), სიმტკიცის ზღვრის ნორმატიულ მნიშვნელობად (ხიმინჯოვანი საძირკვლების გამოყენებისას) შეიძლება რეკომენდებულ იქნეს სიმტკიცის მნიშვნელობა მასივში პროცენტული შემცველობის მიხედვით:

$R_{c,n} = 0{,}70R_{Cარგ.} + 0{,}30R_{Cქვიშ.ქვა} = 32{,}9 + 44{,}1 = 77{,}0$ კგძ/სმ^2 (7,7 მპა).

როგორც გრუნტების დამარილიანების ხარხის განსაზღვრიდან ჩანს, გრუნტში ადვილად და საშუალოდ ხსნადი მარილების ჯამური შემცველობა ტოლია:

– ფენა 2 – 13,5–14,7%>2% – გრუნტი დამარილიანებულია;

– ფენა 3 – 9,7–14,0%>2% – გრუნტი დამარილიანებულია;

– ფენა 4 – 4,5–5,1%>2% – გრუნტი დამარილიანებულია.

IV-2. გრუნტი წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები

ტერიტორიაზე გავრცელებული მიწისქვეშა წყლები დახასიათებულია 3 სინჯის ქიმიური ანალიზებით (აღებულია ჭაბ.№№1, 3 და 5).

წყლის სინჯების ქიმიური ანალიზები მოცემულია წყლის სტანდარტული ანალიზების ბლანკებზე და ერთვის დასკვნას.

გამოკვლეული წყალი-გარემო:

როგორც გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზის შედეგებიდან ჩანს, გამოკვლეული წყალი-გარემო ბეტონების მიმართ სულფატების და ჰიდროკარბონატების შემცველობის მიხედვით ხასიათდება შემდეგი აგრესიული ხარისხით:

პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108) გამოყენებისას:

ა) ძლიერ აგრესიულია W_4 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ;

ბ) საშუალოდ აგრესიულია W_6 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

გ) სუსტად აგრესიულია W_8 წყალშეუღწევადობის მარკის ბეტონის მიმართ.

პორტლანდცემენტის (სტანდარტი 10178, სტანდარტი 31108) კლინკერში ჩანართებით C_3S–65%, C_3A–7%, C_3A+C_4AF–22%, წიდაპორტლანდცემენტის და აგრეთვე სულფატმდგრადი (22266-76 სტანდარტი) ცემენტების გამოყენებისას – არააგრესიულია W_4–W_6–W_8 წყალშეუღწევადობის მიხედვით მარკის ბეტონების მიმართ.

არმატურის მიმართ:

ა) არააგრესიულია წყლის გარემოში მუდმივად ყოფნის დროს;

ბ) საშუალოდ აგრესიულია წყლის გარემოში პერიოდულად ყოფნის დროს.

თავი – V დასკვნა და რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1. საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია დამაკმაყოფილებელ პირობებშია, ვინაიდან ადგილზე, არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევა და სხვა), არ არის განვითარებული და არც მომავალშია მოსალოდნელი. თუმცა გრუნტების სულფატური დამარილიანება და გრუნტის წყლების სულფატური აგრესიულობა არახელსაყრელი ფაქტორია.

   საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, სნ და წ 1.02.07-87-ის მე-10 სავალდებულო დანართის თანახმად, ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული).

2. ტერიტორიის ამგებ გრუნტებში, ნაყარი გრუნტის (ფენა 1) ჩაუთვლელად გამოიყო 5 საინჟინრო გეოლოგიურ ელემენტი **(სგე):**

   I სგე – ნახევრადმყარი კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2);

   II სგე – რბილპლასტიკური კონსისტენციის თიხნარი (ფენა 2^{1});

   III სგე – მსხვილნატეხოვანი გრუნტი (ფენა 3);

   IV სგე – ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 4);

   V სგე – ნაკლებად გამოფიტული ძირითადი ქანი (ფენა 5).

   ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან და დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან (სართულიანობა 19, ნოლსქვეშა ორი სართული) გამომდინარე, შენობების დაფუძნებისთვის ოპტიმალური ვარიანტია, მისი დაფუძნება განხორციელდეს **V სგე**-ს (ფენა 5) გრუნტზე ბურღვით-ნატენი დგარი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა.

   ხიმინჯის მზიდუნარიანობის საჭირო სიდიდე მიიღება ხიმინჯის დიამეტრის და საყრდენ გრუნტში ხიმინჯის შესვლის სიგრძის მიხედვით, სნ და წ 2.02.03-85-ის მე-5 და მე-6 ფორმულების გამოყენებით.

3. ფუძის ანგარიშისათვის, ქვემოთ, ცხრილ 4-ში მოცემულია ყველა აუცილებელი საანგარიშო მახასიათებელი ხუთივე **სბე**-ის გრუნტისთვის, მიღებული ლაბორატორიული გამოკვლევების, ნორმატიული დოკუმენტების, საარქივო მასალების და საცნობარო ლიტერატურის მონაცემების გამოყენებით.

გრუნტების საგების და პუასონის კოეფიციენტის საანგარიშო მნიშვნელობები, აღებულია დამპროექტებლის „საანგარიშო-თეორიული ცნობარიდან“ და „ტექნიკოს გეოლოგის ცნობარიდან“.

ცხრილი 4

№	გრუნტის მახასიათებელი	საანგარიშო მნიშვნელობები				
		I სბე ფენა 2	**II სბე** ფენა 2'	**III სბე** ფენა 3	**IV სბე** ფენა 4	**V სბე** ფენა 5
1	სიმკვრივე ρ გ/სმ^3	1,88	1,93	1,95	2,10	2,23
2	შინაგანი ხახუნის კუთხე, φ°	23	18	38	–	–
